ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302435324**
თარიღი: **18/12/2024**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2024 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 10 დეკემბრის N1785 განკარგულებით შესული ცვლილებებით, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ „საქართველოს 2024 წლის გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 000 000 ლარი, რომელიც მიიმართება: შიდა გზების რეაბილიტაციაზე, სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე და ხიდების რეაბილიტაციაზე.

აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მიზანშეწონილია დაიწყოს ცვლილებაზე ადმინისტრაციული წარმოება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გთხოვთ მ/წლის 20 დეკემბერს მოიწვიოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე“.

საკითხის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის როლანდ ლაშხიას კანდიდატურას.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2800, ქ.ლანჩხუთი, კოსტავას ქ.37, ელ.ფოსტა: Lanchkhuti@yahoo.com

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის დეკემბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2024 წლის ------- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 599 266 130).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი 01.01.2024, სარ. კოდი: 190020020.35.112.016503) შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IV თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე–10 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე–11 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე–12 მუხლის თანახმად;

5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2024-2027 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე–13 მუხლის თანახმად;

6. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის მე-14 მუხლის თანახმად.

7. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15 – 24 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ზესიკ ტაბიძე**

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1785 2024 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არაუმეტეს 148 919 000 (ას ორმოცდარვა მილიონ ცხრაას ცხრამეტი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ყვარლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 920 000 (ოთხი მილიონ ცხრაას ოცი ათასი) ლარისა;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 12 162 000 (თორმეტი მილიონ ას სამოცდაორი ათასი) ლარისა;

გ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 018 000 (ოთხი მილიონ თვრამეტი ათასი) ლარისა;

დ) სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 727 000 (ოთხი მილიონ შვიდას ოცდაშვიდი ათასი) ლარისა;

ე) ყაზბეგის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 940 000 (ცხრაას ორმოცი ათასი) ლარისა;

ვ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 760 000 (სამი მილიონ შვიდას სამოცი ათასი) ლარისა;

ზ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 583 000 (ხუთას ოთხმოცდასამი ათასი) ლარისა;

თ) გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 403 000 (ხუთი მილიონ ოთხას სამი ათასი) ლარისა;

ი) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 855 000 (ხუთი მილიონ რვაას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

კ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 8 951 000 (რვა მილიონ ცხრაას ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარისა;

ლ) თელავის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 327 000 (ოთხი მილიონ სამას ოცდაშვიდი ათასი) ლარისა;

მ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 082 000 (სამი მილიონ ოთხმოცდაორი ათასი) ლარისა;

ნ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 8 941 000 (რვა მილიონ ცხრაას ორმოცდაერთი ათასი) ლარისა;

ო) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 808 000 (რვაას რვა ათასი) ლარისა;

პ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 986 000 (ოთხი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაექვსი ათასი) ლარისა;

ჟ) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 738 000 (ხუთი მილიონ შვიდას ოცდათვრამეტი ათასი) ლარისა;

რ) ონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 891 000 (ოთხი მილიონ რვაას ოთხმოცდათერთმეტი ათასი) ლარისა;

ს) საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 029 000 (სამი მილიონ ოცდაცხრა ათასი) ლარისა;

ტ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 440 000 (ორი მილიონ ოთხას ორმოცი ათასი) ლარისა;

უ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 520 000 (ხუთი მილიონ ხუთას ოცი ათასი) ლარისა;

ფ) წალკის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 270 000 (ერთი მილიონ ორას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ქ) ხაშურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 195 000 (ორი მილიონ ას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ღ) კასპის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 980 000 (ცხრაას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ყ) ბოლნისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 950 000 (ცხრაას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

შ) ადიგენის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 540 000 (ხუთას ორმოცი ათასი) ლარისა;

ჩ) ახალციხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 185 000 (ერთი მილიონ ას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარისა;

ც) ასპინძის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

ძ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 710 000 (სამი მილიონ შვიდას ათი ათასი) ლარისა;

წ) ბორჯომის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 594 000 (ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი ათასი) ლარისა;

ჭ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 175 000 (ოთხი მილიონ ას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ხ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 160 000 (ორი მილიონ ას სამოცი ათასი) ლარისა;

ჯ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 6 780 000 (ექვსი მილიონ შვიდას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ჰ) ვანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 620 000 (ოთხი მილიონ ექვსას ოცი ათასი) ლარისა;

ჰ[1]) წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 780 000 (შვიდას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ჰ[2]) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 625 000 (ერთი მილიონ ექვსას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

ჰ[3]) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 180 000 (ერთი მილიონ ას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ჰ[4]) სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 920 000 (ორი მილიონ ცხრაას ოცი ათასი) ლარისა;

ჰ[5]) ხონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 460 000 (ოთხას სამოცი ათასი) ლარისა;

ჰ[6]) ხობის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 705 000 (შვიდას ხუთი ათასი) ლარისა;

ჰ[7]) მცხეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 630 000 (ორი მილიონ ექვსას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ჰ[8]) სენაკის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 420 000 (ოთხი მილიონ ოთხას ოცი ათასი) ლარისა;

ჰ[9]) აბაშის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 440 000 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცი ათასი) ლარისა;

ჰ[10]) მესტიის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 739 000 (შვიდას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარისა;

ჰ[11]) ამბროლაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

ჰ[12]) ქარელის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა;

ჰ[13]) დმანისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 920 000 (ცხრაას ოცი ათასი) ლარისა;

ჰ[14]) გორის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 555 000 (ხუთას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ჰ[15]) დუშეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 240 000 (ორას ორმოცი ათასი) ლარისა;

ჰ[16]) ახმეტის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 815 000 (ერთი მილიონ რვაას თხუთმეტი ათასი) ლარისა;

ჰ[17]) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ჰ[18]) გარდაბნის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ჰ[19]) მარნეულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე